


# საიას ქუთაისის ფილიალი აცხადებს კონკურსს იურიდიული დახმარების ცენტრში ანაზღაურების გარეშე თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად

საიას ქუთაისის ფილიალი აცხადებს კონკურსს იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშმწეთა/სტაჟიორთა მისაღებად.

იურიდიულ დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს იურიდიულ დახმარების ცენტრში 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში თანაშემწეს/სტაჟიორს გადაეცემა სერტიფიკატი.

კონკურსი მიმდინარეობს როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის მე-2 და ზედა

კურსის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს.

თანაშემწეებს/სტაჟიორების ფუნქციებში ძირითადად შედის:

- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების ელექტრონულ პროგრამაში ასახვა;

- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება;

- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;

- სამართლებრივი ბროშურების შედგენისას იურისტების დახმარება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ელ. ფოსტაზე - kutaisi@gyla.ge უნდა გამოაგზავნოს:

- განაცხადი (იხ. მიბმული **დოკუმენტი**)

- შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ) დასკანერებული წესით.

გთხოვთ, მეილის ”subject" ველში მიუთითოთ თქვენთვის სასურველი სამართლის სფერო

(,,სისხლისსამართალი“ ან ,,სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი“).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2023 წლის 31 მარტი.**

კონკურსი ჩატარდება გასაუბრების წესით.

გასაუბრების თარიღი გეცნობებათ თქვენს მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და გამოქვეყნდება საიას ქუთაისის ფილიალის facebook გვერდზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

- დარეჯან სალდაძე (577-07-05-76)

- სალომე სალდაძე (593-69-69-95)

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge